



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**

**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 5

„10” 10

2022წ

**დადგენილება № 20**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „კ“, „ლ. ა“, ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. გაიზარდოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის ანაზღაურება შემდეგი წესითა და ოდენობით:
  - ა) აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალის - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 15 %-ის ოდენობით;
  - ბ) არა საშტატო დამხმარე და მოწვეული პერსონალის - ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 15 %-ის ოდენობით;
  - გ) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების, ერთ საკონტაქტო საათზე განსაზღვრული სარგოს 15 %-ის ოდენობით;
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 სექტემბრის N32 დადგენილება; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შუამდგომლობა.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვივის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
 სპიკერი, პროფესორი

*Handwritten signature*

ლავრენტი ჩიბურდანიძე